# ხელშეკრულება №9

**01.10.2019 წ.**

ერთის მხრივ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისფერდის საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორის ნინო ნადირიძის სახით,

მეორე მხრივ, იმ ბიძინა მჟავანაძე სახით (შემდგომში - მომწოდებელი), შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი“ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისფერდის საჯარო სკოლა დაუკვეთავს, ხოლო მომწოდებელი, იმ ბიძინა მჟავანაძე კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სკოლა მულტიფუნქციონერის ფორმატერის პლატის და თერმული ღუმელის რემონტი. (PCV: 50300000).

## 2. ანგარიშსწორება

**2.1.** დამკვეთი ვალდებულია ზემოაღნიშნული მომსახურეობაზე მომწოდებელს გადაუხადოს 110 ლარი.

**2.2.** ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.3. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.

## 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას:

**3.2.** გადაუხადოს მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

3.3. მომწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დააყენოს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

3.4 ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

## 4. სამუშაოს შესრულების ვადები.

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრება 01. 10. 2019 - დან 01. 11. 2019 – მდე.

## 5. ზოგადი დებულებები.

5.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

5.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

5.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 6. დავათა განხილვის წესები.

6.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**დამკვეთი**
სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ციხისფერდის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი № 237069346
ა.№GE88LB0121114954395000
საბანკო რკვიზიტები: ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
მისამართი: ოზურგეთი, სოფელი ციხისფერდი

**მომწოდებელი**
იმ ბიძინა მჟავანაძე
ს/კ №33001006666
ა.№GE98BG0000000279328200
საბანკო რკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
მისამართი: ოზურგეთი,

**დამკვეთი** **მომწოდებელი**

bidzina mzhavanadze
Digitally signed by bidzina mzhavanadze
Date: 2019.10.01 14:53:49 +04'00'